SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396

მარტი-აპრილი | 2022

მეშახტე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

№16

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ქალაქის ამბები / იმერეთის სიახლეები

"საქნახშირში" ახალი ამოსაღები ველების მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს

გვ.2

გვ.4

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში ტყიბულისთვის 542 000 ლარი გამოიყო

ტყიბულის "მეშახტე" „დასავლეთის თასის" გამარჯვებულია!

გვ.5

გვ.7

ქუთაისში, დევნილი ოჯახებისთვის 800 ბინის მშენებლობა მალე დასრულდება

ახალი ამოსაღები ველების მოსამზადებელი სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს

„საქნახშირში“ რეაბილიტაციისა და ახალი ველების მოსამზადებელი სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. კომპანიის მენეჯმენტი ყველაფერს აკეთებს, რომ მსოფლიოში შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ გავლენა არ მოახდინოს შახტების რეაბილიტაციის პროცესზე და სამუშაოები გეგმის შესაბამისად წარიმართოს.

ამ მომენტისთვის, +175 ჰორიზონტზე ახალი ამოსაღები ველი (უბანი) მზადდება. ეს არის პირველი ველი +175 და +275 ჰორიზონტებს შორის, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ მომდევნო წლების განმავლობაში მოპოვებისთვის დაახლოებით 400 000 ტონა ქვანახშირის არსებული მარაგი მომზადდეს. ამ რაოდენობის ათვისებას კომპანია დაახლოებით 6-7 წლის განმავლობაში შეძლებს.

პარალელურად, +175 ჰორიზონტზე დაწყებულია სალიანდაგო მეურნეობისა და ელმავლების კაპიტალური რემონტი.

რაც შეეხება სხვა მიმდინარე სიახლეებს:

- „ძიძიგურის“ სახელობის შახტში ძველი მილ-გაყვანილობების დემონტაჟი განხორციელდა. წყალსატუმბი კამერიდან შახტში მონადენი წყლების ამოსატუმბად, -300 ჰორიზონტიდან ზედაპირამდე, 300 მ. მილგაყვანილობა დამონტაჟდა. იმავე დანიშნულებით, 225 მ. მილგაყვანილობა დამონტაჟდა +175-დან +400 ჰორიზონტამდე.
- N15 ჯგუფური შუროს (სკაპის) შეუღლების ადგილის მოსაწყობად, მიმდინარეობს +275 ჰორიზონტის აღმოსავლეთ საველე შტრეკის გადამაგრება (რომლითაც მომზადდება ახალი ველი).
- სარკინიგზო ტრანსპორტის (ელმავლების) გამართული მუშაობისთვის შემოტანილია 700 აკუმულატორული ბატარეა.
- შეკვეთილია და სრულად არის გადახდილი ადგილობრივი განიავების ვენტილატორები და ვაგონების წყვილთვალები (უახლოეს პერიოდში დამზადდება).
- შეძენილია ელმავლის სათადარიგო ნაწილები, მიმდინარეობს მათი ტრანსპორტირება.

N4 ნახშირმომპოვებელი უბანი ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადადის

N4 ნახშირმომპოვებელი უბნის თანამშრომლები გამომუშავების სისტემაზე გადადიან. აღნიშნული ცვლილება ძალაში 2022 წლის 1 მაისიდან, სატესტო რეჟიმში შევა (3 თვით).
ამ ცვლილებას წინ უძღოდა საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა და კვლევა. აღნიშნული საკითხი დასაქმებულებმა ხელმძღვანელებთან ერთად განიხილეს. უბნის უფროსების ინიციატივით ჩატარდა კრება, რომელზეც დასაქმებულებმა გამომუშავების ახალ სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს.
მოხდა შესასრულებელი სამუშაოების განფასებები. განფასების მიხედვით წარმოქმნილი სახელფასო ფონდი თანამშრომლების მიერ ნამუშევარი დღეებისა და მათზე მინიჭებული შრომითი კოეფიციენტის შესაბამისად გადანაწილდება.
ანაზღაურების რაოდენობა დამოკიდებული იქნება დასაქმებულების მიერ მოპოვებული ქვანახშირის, გვირაბების გაყვანის და სხვა შესრულებული სამუშაოების რაოდენობაზე. განფასებულია უსაფრთხოების ზომებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაც, რომლის ანაზღაურებაც ადრე არ ხდებოდა (მაგალითად, წინასწარი პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოები).
ანაზღაურების აღნიშნული სისტემა თანამშრომლების მოტივირებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის საშუალებას იძლევა.

ტყიბულში კიდევ ერთი უკანონო კარიერი აღმოაჩინეს!

2022 წლის აპრილში, ტყიბულში, პოლიციამ ქვანახშირის კიდევ ერთი უკანონო კარიერი აღმოაჩინა. აღნიშნულ ღია კარიერზე მოპოვების სამუშაოები სათანადო ნებართვისა და უსაფრთხოების ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე მიმდინარეობდა, რაც საფრთხეს უქმნის აღნიშნულ კარიერზე დასაქმებულების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ჩერქეზიშვილის გადაწყვეტილებით, ტყიბულში სპეციალური კომისია იქმნება, რომელიც ღია კარიერებთან დაკავშირებულ საკითხებს შეისწავლის და შესაბამის დასკვნას მოამზადებს.
თავის მხრივ, „საქნახშირის“ ადმინისტრაცია კატეგორიულად აფრთხილებს არაკანონიერი კარიერების მფლობელებს და დასაქმებულებს, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ „საქნახშირთან“ შეუთანხმებელი სამუშაოების წარმოება. უკანონო მოპოვება უდიდეს საფრთხეს უქმნის მათ ჯანრმთელობას და სიცოცხლეს.

შეგახსენებთ, რომ ქვანახშირის მოპოვების ლიცენზია მხოლოდ კომპანია „საქნახშირს“ აქვს და მხოლოდ „საქნახშირი“ უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის უსაფრთხო სამუშაო გარემოს. შესაბამისად, ქვანახშირის მომპოვებელი ყველა სხვა ობიექტი უკანონოა, უხეშად არღვევს შრომის უსაფრთხოების ნორმებს და საფრთხეს უქმნის დასაქმებულების სიცოცხლეს.

გივი კვინტრაძე
32 წელი სამთო სფეროში

გივი კვინტრაძე სამთო სფეროში 32 წელია მუშაობს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების სპეციალობით დაამთავრა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ახალგაზრდა სამთოელმა 1981 წელს მუშაობა ტყიბულში, ქვანახშირის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში, ცვლის ოსტატის პოზიციაზე დაიწყო. წლების მანძლზე ცვლის უფროსის, წარმოების უფროსისა და მთავარი ინჟინრის პოზიციებს იკავებდა. 10 წელი აღნიშნული საწარმოს დირექტორადაც მუშაობდა. ამის შემდეგ, გარკვეული პერიოდით, სამუშაოდ სხვაგან წავიდა, თუმცა, ბოლო 2 წელია გამამდიდრებელ ფაბრიკაში დაბრუნდა. ამჟამად ფაბრიკის უფროსის მოადგილეა. ბატონი გივი საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას საწარმოში ახალგზარდა თაობას სიამოვნებით უზიარებს.

გივი კვინტრაძე: „შახტს და „საქნახშირს“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რეგიონისთვის, რამეთუ, ამ მასშტაბის ალტერნატიული დამსაქმებელი ტყიბულის მუნიციპალიტეტში არ არსებობს. შრომისუნარიანი მოსახლეობის უმეტესობა შახტში მუშაობს და მასზეა მიბმული ამ ადამიანების ოჯახები, შვილები, მათი მომავალი.

ნახშირის მოპოვების მხრივ გარკვეული წინსვლაც არის. უსაფრთხოების წესების დაცვის და სოციალური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც კარგი მდგომარეობაა. იმედი გვაქვს, მომავალ წლებში კიდევ უფრო მეტი წინსვლა გვექნება.

საწარმოში ძალიან სწრაფად, ოპერატიულად ხდება დასაქმებულების მოთხოვნილი საკითხების მოგვარება. შეთანხმებულად ვმუშაობთ კომპანიის ხელმძღვანელობასთან. ისინი მუდმივად ზრუნავენ საწარმოს განვითარებაზე, დასაქმებულების სამუშაო პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაც მისასალმებელია. რაც შეეხება ჩვენს (ფაბრიკის) მუშაობას, მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებზე რეაგირება, ყველა საჭირო მანქანა-დანადგარებით ფაბრიკის მომარაგება დროულად ხდება, რათა მუშაობა არ შეფერხდეს. უახლოეს დღეებში ფაბრიკის ტერიტორიაზე თანამშრომლებისთვის სასადილოც გაიხსნება და ძველი, განთქმული „ცოფის“ სასადილოს მუშაობა აღდგება.

დათიკო კვიტაშვილი
15 წელი სამთო სფეროში

დათიკო კვიტაშვილი პროფესიით მიწისქვეშა საბადოების მოპოვება-დამუშავების სპეციალისტია. კომუნარსკის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ლუგანსკისა და ტყიბულის შახტებში მუშაობდა. მას სამთო სფეროში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს.

დავით კვიტაშვილი 1963 წელს უკრაინაში, ქალაქ არტიომოვსკში, სამთოელის ოჯახში დაიბადა. მამა მეშახტე იყო, დედა შახტის კადრების განყოფილებაში მუშაობდა. უკრაინიდან ტყიბულში საცხოვრებლად 1969 წელს, მშობლებთან ერთად ჩამოვიდა. 1984 წელს სასწავლებლად კვლავ უკრაინაში წავიდა.. კომუნარსკის სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში, სამთო ფაკულტეტი წარმატებით დაასრულა. პროფესიით მიწისქვეშა საბადოების მოპოვება-დამუშავების სპეციალისტია. გარკვეული პერიოდით, ხან ტყიბულში, ხან კი ლუგანსკში მუშაობდა. 2014 წელს მშობლიურ ტყიბულს საბოლოოდ დაუბრუნდა. აჟამად „მინდელის“ შახტზე, საწარმოო სამსახურის ცვლის უფროსია.

დათიკო კვიტაშვილი: „მიხარია რომ “საქნახშირის” თანამშრომელი ვარ - კომპანიის, რომლისთვისაც პრიორიტეტია თანამშრომლებზე ზრუნვა. “საქნახშირი” დიდ საქმეს აკეთებს ტყიბულის კეთილდღეობისთვის.”

ზურა გიორგაძე
5 წელი სამთო სფეროში

26 წლის მეშახტე, ზურაბ გიორგაძე პროფესიით სამთო ტექნიკოსია. განათლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მიიღო. „საქნახშირის“ გუნდს 5 წლის წინ შემოუერთდა. „მინდელის“ სახელობის შახტში მებუნკერე-გამგორის პოზიციაზე ოთხ წელზე მეტი იმუშავა. ახლა უკვე ტრანსპორტის უბნის მიწისქვეშა ელმავლის მემანქანეა.

ზურაბ გიორგაძე: „მამა მეშახტე იყო, აქ სამუშაოდ მან მომიყვანა. თავიდან საერთოდ ვერ ვერკვეოდი შახტის საქმიანობაში. შემდეგ ნელ-ნელა, თანამშრომლებისა და მეგობრების დახმარებით ყველაფერი გავიგე, ვისწავლე და გამოცდილებაც მივიღე. დღეს მეამაყება რომ სამთოელი ვარ. ვცდილობ, ღირსეულად გავაგრძელო მამის პროფესია და წარმატებული მეშახტე ვიყო. შახტა რომ არ იყოს, ქალიქიდან წასვლა მომიწევდა. ამ ეტაპზე, ოჯახის ერთადერთი მარჩენელი ვარ. მყავს მეუღლე, შვილი, დედა და ძმა. მათზე ზრუნვა ჩემი მოვალეობაა. კომპანია “საქნახშირის“ დამსახურებაა რომ ჩვენს რეგიონში ასეთი დიდი საწარმო მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს და ადგილობრივებს ასაქმებს.“

ზურაბ კირკიტაძე
8 წელი სამთო სფეროში

ზურაბ კირკიტაძე ახალგაზრდა მეშახტეა, შახტში მუშაობა 19 წლის ასაკში დაიწყო და უკვე 8 წელია „საქნახშირის“ გუნდის წევრია. თავიდან რკინიგზის ხელოსანი იყო, შემდეგ კი, მოძრაობის უბნის გამგორე. ბოლო ორი წელია შახტის N1 უბანში წმენდითი სანგრევის სამთო მუშის პოზიციაზე მუშაობს.

განათლებით სამთო-ტექნიკოსია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. სწავლის პარალელურად შახტში მუშაობდა.

ზურას ბაბუაც და მამაც მეშახტეები იყვნენენ. ზურამ და მისმა ძმებმა ბაბუისა და მამის ტრადიცია გააგრძელეს - მისი ორი ძმა ყოფილი მეშახტეა, ერთი, ირაკლი კირკიტაძე, დღემდე „საქნახშრის“ თანამშრომელია და ღირსეულად ატარებს გამოცდილი მეშახტის სტატუსს.

ზურა კირკიტაძე: „ტყიბულის სიცოცხლის წყარო შახტაა. ჩვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა შახტზეა დამოკიდებული. რომ არა „საქნახშირი“ ძალიან გაგვიჭირდებოდა აქ ცხოვრება. რაც შახტში ვმუშაობ, მეშახტეების სასიკეთოდ ბევრი ცვლილება განხორციელდა. წინსვლა და პროგრესი შესამჩნევია. ვისურვებდი, რომ გავაგრძელოთ წინსვლა, რათა კიდევ უფრო დაფასდეს ჩვენი შრომა და უფრო გაუმჯობესდეს სამუშაო პირობები.“

ტყიბულში 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მოქალაქეებთან ერთად 9 აპრილის პარკში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გარდაცვლილთა ხსოვნას. ტყიბულის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდიც ჩატარდა.

,,9 აპრილი უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ეს არის დღე, რომელმაც ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა. ფასდაუდებელია იმ ადამიანების წვლილი, ვინც თავი გასწირა თავისუფლებისათვის. გისურვებთ ყველას, თავისუფლება, დამოუკიდებლობა ყოფილიყოს არამხოლოდ ერთხელ მოტანილი, არამედ ჩვენი ხელებით, გულებით, გონებით მუდამ დაცული. ყველაზე რთული მოპოვებულის შენარჩუნებაა, დღესაც გვაქვს უზარმაზარი გამოწვევები და მნიშვნელოვანია ვიყოთ ჩვენი ქვეყნის, კუთხის, ოჯახის სამსახურში და მარადიულად ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს“- აღნიშნა დავით ჩერქეზიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 1989 წლის 4 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაწყებული საპროტესტო გამოსვლები 9 აპრილს სასტიკი დარბევით დასრულდა. მიტინგის დაშლისას დაიღუპა 21 მოქალაქე, ხოლო სხეულის მძიმე დაზიანება და ინტოქსიკაცია მიიღო ასობით ადამიანმა. საქართველოს უახლეს ისტორიაში 9 აპრილი შევიდა, როგორც დიდი ტრაგედიისა და ამავდროულად, დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.

„ეკო ჰაბში“ გარემოსდაცვით საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსის „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2022“-ის ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი პროექტში ჩართულ ახალგაზრდებს ესტუმრა.

სამუშაო შეხვედრა CENN-ის წარმომადგენლის, მაია კეზევაძის ორგანიზებით გაიმართა და ის მდგრადი განვითარების მიზნებს ეხებოდა. ვორკშოპზე, რომელიც გარემოსდაცვით საკითხებს მოიცავდა, N1 და N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პრეზენტაციები წარმოადგინეს, ხოლო შეხვედრის დასასრულს დისკუსია გაიმართა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ეკოკლუბი ,,ერა'' აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტთან და მერის მხარდაჭერით მათ არაერთი სოციალური და გარემოსდაცვითი აქტივობა განახორციელეს.

კონკურსი „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ მიზნად ისახავს ბუნებრივი და სოციალური გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით ცვლილებების წახალისებასა და ახალგაზრდებისთვის ისეთი ფასეულობების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: სოლიდარობა, თანამშრომლობა, თანასწორობა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

შეგახსენებთ, რომ „ეკო ჰაბის“ სამუშაო სივრცე ტყიბულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, კომპანია „საქნახშირის“ დაფინანსებით მოეწყო.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ტყიბულისთვის 542 000 ლარი გამოიყო

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში დასახლებების საერთო კრებები და ამომრჩეველთან კონსულტაციები დასრულდა.

2022 წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 542 000 ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხა მაცხოვრებელთა რაოდენობის მიხედვით 47 სოფელზე გადანაწილდა.

პროგრამის ფარგლებში შეხვედრები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართა. მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეირჩა პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა უმეტესი ნაწილი შიდა გზების, გარე განათების და წყალმომარაგების მოწესრიგების საკითხებს შეეხებოდა.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ პროექტების შერჩევა ეფუძნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს, სადაც მოქალაქეები ხმათა უმრავლესობით, თავად ირჩევენ პრიორიტეტულ მიმართულებებს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში უკრაინიდან დევნილი პირველი ოჯახი ჩამოვიდა

ქალაქ ხარკოვიდან ჩამოსულ ხუთ ადამიანს (მათგან სამ არასრულწლოვანს), სოფელ გელათში ერთ-ერთი ადგილობრივი ოჯახი მასპინძლობს. ისინი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მოინახულეს, საკვები პროდუქტები გადასცეს, თანადგომა გამოუცხადეს და ფინანსური მხარდაჭერაც აღმოუჩინეს.

მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან აღნიშნული ოჯახის მიმართ თანადგომა გაგრძელდება, ვიდრე მათ არ მიეცემათ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების შესაძლებლობა.

ტყვარჩელის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია დაიწყო!

ტყიბულის შემოსასვლელში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია დაიწყო. ტყვარჩელის ქუჩაზე ოთხი საცხოვრებელი კორპუსის (N24, N26, N32, N34) ფასადი სრულად განახლდება. პროექტის ღირებულება 736 162 ლარია. სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

პარალელურად, აღნიშნული საცხოვრებელი სახლის სარდაფებში წყლის დაგროვების პრობლემის მოგვარებისა და სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდება.

ტყიბული უკრაინის მხარდასაჭერად

ტყიბულის მუნიციპალიტეტში, უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად **2 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა**, რაც სამედიცინო ნივთებს, მედიკამენტებს, არამალფუჭებად საკვებ პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების საგნებს მოიცავს.

ტვირთის მობილიზების პროცესში ჩართულები იყვნენ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები, რიგითი მოქალაქეები, სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები.

აქციის ორგანიზება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო. ჰუმანიტარული ტვირთის გარდა, მოხერხდა ფინანსური რესურსის მობილიზებაც. სახაზინო ანგარიშზე შემოსული თანხის ოდენობამ **20 000 ლარს გადააჭარბა**.

რეგიონებიდან უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნის გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრს ეკუთვნის, რომელიც რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, ერთობლივად ხორციელდება.

ტყიბულელმა კუნგ-ფუისტებმა წარმატებით ისაპარეზეს

ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში (თბილისში), კუნგ-ფუში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 14 სკოლის 102 სპორტსმენი (ვაჟები და გოგონები) მონაწილეობდა.

„ოლეგ ფანჩულიძის კუნგ-ფუს სკოლის“ ტყიბულელმა კუნგ-ფუისტებმა წარმატებით იასპარეზეს. ტურნირზე ტყიბულის სპორტული ცენტრის კუნგ-ფუს ჯგუფის 6 სპორტსმენი გამოვიდა. მათ 5 პირველი და 1 მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: ნიკოლოზ ბუბაშვილი, დავით ჩეთოშვილი, საბა აბესაძე, ოთარ სანიკიძე და ნიკა ჩაფიძე. პრიზიორი გახდა ბადრი ბოჭორიშვილი.

ყველა ჩემპიონი და პრიზიორი დაჯილდოვდა მედლებით და დიპლომებით. გუნდურ პირველ ადგილზე შვიდი ჩემპიონით გავიდა ამბროლაურის სკოლა. მეორე და მესამე გუნდური ადგილები გაინაწილეს ტყიბულის და ზესტაფონის გუნდებმა 5-5 ჩემპიონით. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ საპრიზო თასები.

კუნგ-ფუს სკოლა დახმარებისა და თანადგომისათვის მადლობას უხდის ტყიბულის სპორტულ ცენტრს.

ტყიბულის “მეშახტე” „დასავლეთის თასის” გამარჯვებულია

იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით, 9-29 მარტს ქუთაისში ტურნირი გაიმართა, რომელშიც 9 გუნდი ასპარეზობდა. ტყიბულის „მეშახტემ“ ჯგუფური ეტაპის ოთხივე შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილით ნახევარფინალში გავიდა, სადაც მარტვილის „მერანი2“ 4:0 დაამარცხა.

ფინალში “მეშახტემ” აბაშის „ზანას“ 1:0 მოუგო და თასს დაეუფლა.

GITA-ს საგრანტო პროგრამების გამარჯვებული პროექტები

იმერეთის რეგიონში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 30 000 ლარიანი და 100 000 ლარიანი საგრანტო პროგრამების გამარჯვებულები გამოვლინდნენ. პროგრამა ევროკავშირის საგრანტო დაფინანსებით, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს ოთხ რეგიონში (იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი) ხორციელდება.

ღონისძიებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი და მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ.

100 000 ლარიან საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები იმერეთში:

- პირველი ქართული 3D პრინტერის წარმოება (ქუთაისი)
- GDSystems - და ვინჩის მწვანე სისტემები - პლანეტარული ტიპის ტრანსფორმირებადი სასათბურე სისტემა სასარგებლო ფართის 100%-ით ათვისების სისტემით, ვეგეტაციური პროცესების შეზღუდვის გარეშე და გაუმჯობესებული აგროტექნიკური შესაძლებლობებით;
- soplidan.ge - ელექტრონული კომერციის პლატფორმა, რომელიც ვებ-გვერდის საშუალებით იმერეთის ფერმერებსაც პირდაპირ დააკავშირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- ტყის გაყინული სოკოები - ინოვაციური ბიზნეს მოდელით, ქვეყანაში გამოუყენებელი ტონობით ტყის რესურსებით შეიქმნება ახალი პროდუქტი ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის;
- Q-bic - მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი ფასით Glamping-ის კარვების წარმოება და გაყიდვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;
- ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება - მოძრავი გადამამუშავებელი საწარმოს მეშვეობით წვენების, ჯემების, საწებელების წარმოება, სრულიად ახალი სტანდარტის პროდუქციის შეთავაზება ადგილობრივი ნედლეულით და საექსპორტო და ადგილობრივი პოტენციალის ათვისება;
- ჰერბია - ახალი პროდუქტის: მწვანილის, ბოსტნეულის სალათების გადამუშავება და შეფუთვა საჭმელად მზა სახით;

ერთიანი რეგიონული განვითარების პოლიტიკისა და ევროკავშირის ტერიტორიული დაგეგმვის უახლესი მიდგომების შესაბამისად, პროექტის მიზანია, რეგიონული სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება, ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება და ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში.

30 000 ლარიან საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი იმერეთში:

- ბაია ფუდი - ადგილობრივი ნედლეულით დამზადებული ხილის, ჩირისა და შოკოლადის წასახემსებელი პროდუქტის წარმოება ქიმიური დანამატებისა და კონსერვანტების გარეშე

„იმერეთის აგრო ზონა“ - სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტის პრეზენტაცია

სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტი იმერეთის რეგიონში მაღალი, საშუალო და დაბალტექნოლოგიური სათბურების, შემგროვებელი ლოგისტიკის და გაყიდვების ცენტრის, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას და განვითარებას ითვალისწინებს.

პროექტის კონცეფციის მიხედვით, არსებულ ნაკვეთებზე ,,იმერეთის აგრო ზონა“ განავითარებს ყველა საჭირო ინფრასტრუქტურას, რომელიც მნიშვნელოვანია სასათბურე მეურნეობების ოპერირებისთვის. პროექტი მიზნად ისახავს კლასტერის წევრებისთვის „ერთი-ფანჯრის“ პრინციპით სერვისის მიწოდებას.

აღნიშნული მიმართულების განვითარების მიზნით 18 უცხოურმა და ქართულმა კომპანიამ ხელი მოაწერა წევრობის დეკლარაციას და ახლადდაფუძნებული ა(ა)იპ მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის წევრები გახდნენ. შპს „იმერეთის აგრო ზონის“ ორგანიზებით, შეხვედრაზე სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტის I ფაზის იმპლემენტაციის დაწყებისა და მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის შესახებ იმსჯელეს.

ახლადდაფუძნებული ცენტრის წარდგენას იმერეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი ილია თამარაშვილი ესწრებოდნენ.

„საფუძველი ჩაეყარა ცოდნაზე დაფუძნებული ცენტრის შექმნას, რომლის მმართველობაში და ფუნქციობაში მონაწილეობას მიიღებენ ბიზნესსტრუქტურები, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები და უშუალოდ ფერმერები. ცენტრი წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა და სამ წელიწადში, სახელმწიფო სრულად გადასცემს მის მართვას ორგანიზაციის წევრებს. ეს არის სიახლე საქართველოსთვის, არის ნოვაცია და ევროპული კულტურის დანერგვა ასეთი ტიპის ორგანიზაციების მართვაში“ - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა.

მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის მშენებლობა 2022 წელს დაიწყება. ცენტრი ბაღდათში, საზოგადოებრივი კოლეჯის, „იბერიას“ მიმდებარედ აშენდება. სასწავლო ცენტრი და სადემონსტრაციო სათბურები 3 ჰექტრამდე მიწის ფართობზე მოეწყობა, სადაც დაინტერესებული პირები პრაქტიკულ მეცადინეობებს გაივლიან.

მებაღეობის სასწავლო და სადემოსტრაციო ცენტრის მეშვეობით ადგილობრივი ფერმერები მიიღებენ ცოდნას და პრაქტიკულ ჩვევებს, რომლის უახლოესი ეფექტი საშუალო წლიური წარმოების გაორმაგება და სეზონური წარმოების გახანგრძლივება იქნება. ცენტრი არაკომერციული იურიდიული პირია, რომელიც წევრობაზეა დაფუძნებული და აერთიანებს უცხოურ და ქართულ აგროპროდუქტების და სასათბურე ტექნოლოგიების, სერვისების და სწავლების და ტრენინგების მიმწოდებელ კომპანიებს. ცენტრის ფუნქციობის მთავარი ბენეფიციარები იმერეთის რეგიონში მოქმედი მესათბურე ფერმერები არიან, რომლებიც ასევე ცენტრის წევრებად არიან გაერთიანებულები.

„ეს არის ადგილი, სადაც მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ადვილად შეხვდება. ჩვენ ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ ამ ურთიერთობის მაქსიმალურად გამარტივებას“ - აღნიშნა შპს „იმერეთის აგრო ზონის“ დირექტორმა არჩილ ბუკიამ.

აღსანიშნავია, რომ „იმერეთის აგრო ზონამ“ გასულ წელს სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტში მონაწილეობის მისაღებად საერთაშორისო წინადადებების მიღება გამოაცხადა. შედეგად, 10 სხვადასხვა ქვეყნიდან 28 წინადადება მიიღო.

ქუთაისში, დევნილი ოჯახებისთვის 800 ბინის მშენებლობა მალე დასრულდება

ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩაზე, 800 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, ხუთი 16 სართულიანი კორპუსი შენდება. ამჟამად, ახალაშენებულ კორპუსებში განსახლების მსურველი დევნილი ოჯახების მონიტორინგის პროცესი მიმდინარეობს. მშენებლობა უკვე დასრულების ფაზაშია და იძულებით გადაადგილებული ოჯახები თანამედროვე სტანდარტების ბინებს შემოდგომით მიიღებენ.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ასევე, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ჯაბა სირბილაძე და ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი ადგილზე გაეცნენ.

გასულ წელს, საცხოვრებელი ფართით რეგიონში 900 - მდე ოჯახი დაკმაყოფილდა. წლის ბოლოს, ქუთაისში კიდევ 800 დევნილი ოჯახი მიიღებს ბინას. მნიშვნელოვანია, რომ უახლოეს პერიოდში, ამავე ტერიტორიის მიმდებარედ, დამატებით 720 დევნილი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, ახალი კორპუსების მშენებლობა დაიწყება.

სოფელ გეგუთში თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლის მშენებლობა დასრულდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, სოფელ გეგუთში ახალი სკოლის სამშენებლო სამუშაოები დაასრულა. 240 მოსწავლეზე გათვლილი №1 საჯარო სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდა. საკლასო ოთახების გარდა, კეთილმოეწყო სკოლის ეზოც, დამონტაჟდა გათბობის, წყალსადენის და კანალიზაციის სისტემები. სკოლა სრულად არის ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 67 სკოლის მშენებლობა, 100 სკოლის რეაბილიტაცია და ენერგოეფექტური კომპონენტის გაძლიერება მიმდინარეობს. საგანმანათლებლო პროგრამას საქართველოს მთავრობა და დონორები (CEB და NEFCO) აფინანსებენ. პროგრამის საერთო ღირებულება 300 მილიონ ლარზე მეტია.

ზვიად შალამბერიძე: ,,საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა ჩვენი ხელისუფლებისთვის ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება პრიორიტეტი. მიმდინარე წელს იმერეთის მასშტაბით 3 ახალი სკოლის მშენებლობა გვაქვს დაწყებული და 13 სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. საერთო ღირებულება ჯამში 43 000 000 ლარამდეა. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება და რამდენიმე თვეში ჩვენს მომავალ თაობას ექნება საშუალება სრულად განახლებულ სკოლებში გააგრძელონ სასწავლო პროცესი.“

იმერეთიდან უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთის მეორე ნაწილი გაიგზავნა!

იმერეთის რეგიონიდან ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნის პროცესს ადგილზე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე ხელმძღვანელობდა. უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, იმერეთის რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტში, მერიების სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით მოხდა სამედიცინო დახმარების საგნების, მედიკამენტების, ასევე ჟანგბადის კონცენტრატორებისა და ჰუმანიტარული დახმარების სხვა საგნების შეძენა. გარდა ამისა, რეგიონის მასშტაბით შეგროვდა არამალფუჭებადი პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები ტკბილეული და ტანსაცმელი.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად მეორე ეტაპზე შეგროვილი ტვირთი უკვე გაიგზავნა.

ზვიად შალამბერიძე: ,,პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით, უკრაინელი ხალხისთვის საქართველოდან ჰუმანიტარული დახმარების მობილიზაცია გრძელდება. იმერეთში, მეორე ეტაპის ფარგლებში, 40 ტონა ტვირთი მოგროვდა და გაიგზავნა უკრაინაში. მადლობა მინდა გადავუხადო კერძო სექტორს და იმ ადამიანებს, ვინც სახელმწიფოს გვერდით დაუდგა და ერთიანი ძალისხმევით დავეხმარეთ უკრაინელ ხალხს.”

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, უკრაინელი ბავშვებისთვის, რომლებიც საომარი მოქმედებების გამო მშობლებთან ერთად საქართველოში ჩამოვიდნენ, გასართობი ღონისძიება მოეწყო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბავშვებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს, ხოლო მათ მშობლებს კიდევ ერთხელ გამოუცხადეს თანადგომა და მხარდაჭერა.

გიორგობა

ალდგომის მოწყინული დღესასწაული

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე
მარტი-აპრილი | 2022 | №16

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

"საქნახშირის" კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri